European Friend

სახელი: მარიამ

გვარი: ლიპარტია

ასაკი: 14

სკოლა: ფოთის N12 საჯარო სკოლა

კლასი: IX

ქართული ვერსია

მოგესალმებით!
მოგეხსენებათ მე ვცხოვრობ საქართველოში, ქვეყანაში რომელმაც წლები სხვა ქვეყნის გუბერნია იყო, და სრული დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. თუმცა მხოლოდ დამოუკიდებლობა საკმარისი არ აღმოჩნდა. თავისუფლება მხოლოდ ეს არაა.

ჩვენი ხალხი ასწლეულებია იბრძვის თავისუფლებისთვის. საბჭოთა პერიოდმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაზე, რაც დღემდე ძალიან იგრძნობა. ხალხს ჩაუნერგეს შიში, ჩაკეტილი აზროვნება, ჩუმად ყოფნის ჩვევა. მაგრამ ჩემი თაობა ამას არ შეეგუა! ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს გამოხატვის შესაძლებლობას, სწავლისა და განვითარების უფლებას – ყველას უკეთესობისთვის.

ევროპული ღირებულებები, რომელიც არის დემოკრატია და თავისუფალი აზრის გამოხატვა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის პრიორიტეტული ხდება. ჩვენ გვინდა ვიყოთ ნაწილი თავისუფალი სამყაროსი და ამისთვის ვიბრძვით ნებისმიერ შემთხვევაში, რათა ჩვენი გმირების სურვილი ავასრულოთ და ჩვენი სამშობლო სრულიად დამოუკიდებელი გავხადოთ.

დამოუკიდებლობა შეგვიძლია ჩავთვალოთ საწყის ნაბიჯად. ჭეშმარიტი თავისუფლება კი ნებისმიერი ადამიანის პასუხისმგებლობაა.

საქართველომ დამოუკიდებლობა 26 მაისს მოიპოვა 1918 წელს. ეს თარიღი ამტკიცებს იმას, რომ თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფო სტატუსი არაა, არამედ ხალხის შიდა არჩევანიცაა – როგორ ვცხოვრობთ, ვფიქრობთ და რას ვქმნით. ეს თარიღი არის თავისუფლების, სირთულეების დაძლევის და უკეთესი მომავლის დასტური.

მჯერა, რომ შენს ქვეყანაშიც და ჩემს ქვეყანაშიც საერთო ღირებულებები დაგვაახლოებს. სამყაროში დამკვიდრდება სიმშვიდე და კეთილდღეობა.
თქვენ როგორ გესმით თავისუფლება?

English Version

Hello!
As you may know, I live in Georgia – a country that was under the rule of others for many years and only regained full independence in 1991. However, independence alone was not

enough. Freedom is something deeper.

Our people have fought for freedom for centuries. The Soviet period had a strong impact on our country, which is still deeply felt today. People were taught fear, closed thinking, and the habit of silence. But my generation did not accept that! For us, freedom means the ability to express ourselves, the right to learn and develop – for the good of all.

European values such as democracy and freedom of thought are becoming a priority for the country's well-being. We want to be part of the free world, and we fight for that in every way possible – to fulfill the dreams of our heroes and make our homeland truly independent.

We can consider independence as the first step. True freedom is the responsibility of every individual.

Georgia first declared its independence on May 26, 1918. This date proves that freedom is not just a status for the state – it is an inner choice of the people: how we live, think, and create. This date stands for freedom, overcoming difficulties, and hope for a better future.

I believe that our shared values will bring your country and mine closer. Peace and well-being will be established around the world.
How do you understand freedom?